

## „სპეციალური სამხედრო ოპერაცია“ და მისი გავლენა საბრძოლო მოქმედებების გადააზრებაზე

დავით თევზაძე<sup>1</sup>

DOI: <https://doi.org/10.61446/mp.3.2024.8493>

### აბსტრაქტი

21-ე საუკუნის სამხედრო დაპირისპირებებს შორის, რუსეთის ე.წ. სპეციალური სამხედრო ოპერაცია უკრაინის წინააღმდეგ, მიუხედავ იმისა, რომ მისი დასრულების კონტურები ჯერ კიდევ ბუნდოვანებითაა მოცული, შეიძლება ითქვას, რომ უკვე გამორჩეულია. ეს გამორჩეულობა, პრაქტიკულად, ეხება მიმდინარე კონფლიქტის ყველა ასპექტს: ხანგრძლივობა, გეოგრაფია, სამოქალაქო და სამხედრო მსხვერპლის რაოდენობა, ომის დანაშაულებების სტატისტიკა, გახარჯული საბრძოლო მასალის მოცულობა და განადგურებული ჯავშანტექნიკის რაოდენობა, დანგრეული ქალაქებისა და განადგურებული სოფლების სიმრავლე, ახალი შეიარაღება, რომელიც ბრძოლის ველზე ერთბაშად, მასიურად გამოჩნდა და სწრაფად ევოლუციონირებს, და ბოლოს, კონფლიქტში პირდაპირ თუ ირიბად ჩართული მხარეების რაოდენობა, რომელიც უპრეცედენტოა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. ბუნებრივია, სპეციალისტები უკვე ცდილობენ იმ მოვლენათა დინამიკის გააზრებას, რაც რუსეთ-უკრაინის უკიდურეს სივრცეებზე ხდება.

**საკვანძო სიტყვები:** რუსეთი, უკრაინა, სპეციალური სამხედრო ოპერაცია, შეიარაღება, ომი.

---

<sup>1</sup> სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის მოწვეული სპეციალისტი, თადარიგის გენერალ-ლეიტენანტი, პროფესორი, საქართველოს პრეზიდენტის მთავარი მრჩეველი სტრატეგიული დაგეგმვის საკითხებში

## Special military operation " and its influence on the rethinking of combat operations

Davit Tevzadze<sup>2</sup>

DOI: <https://doi.org/10.61446/mp.3.2024.8493>

### Abstract

Among the military confrontations of the 21st century, the so-called Russian special military operation against Ukraine, despite the fact that the contours of its completion are still shrouded in obscurity, it can be said to be outstanding already. This distinction applies to virtually every aspect of the ongoing conflict: duration, geography, civilian and military casualties, war crimes statistics, the amount of spent ammunition and the number of destroyed armored vehicles, the number of destroyed cities and destroyed villages, new weapons appearing on the battlefield at once, and is massively and rapidly evolving, and finally, the number of parties directly or indirectly involved in the conflict, which is unprecedented since the Second World War. Naturally, specialists are already trying to understand the dynamics of the events that are happening in the vast spaces of Russia and Ukraine.

**Keywords:** Russia, Ukraine, special military operation, armament, war.

---

<sup>2</sup> Invited specialist of LEPL-David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia, Lieutenant General (R), Professor, Chief Advisor to the President of Georgia on Strategic Planning

## შესავალი

სტატია ეხება სხვადასხვა სამხედრო ექსპერტთა პირველადი შეფასებების გაცნობას, რაც ახალი შეიარაღების მოხმარების ტაქტიკას და ევოლუციას მოიცავს, რამაც, როგორც ივარაუდება, სახმელეთო ბრძოლას მთლიანად უნდა შეუცვალოს ხასიათი. მიუხედავად იმისა, რომ რეალური სურათი მხოლოდ დაპირისპირების დასრულების შემდეგ გამოჩნდება, რიგი მოსაზრებებისა საინტერესოდ გამოიყურება, ვინაიდან, მომავალში, არმიის შესაძლო სტრუქტურულ და ორგანიზაციულ ცვლილებებს ეხება.

## ძირითადი ნაწილი

ა.წ. 8-12 აგვისტოს, მოსკოვის ოლქის ქ.კუბინკაში ჩატარდა რუსეთის სამხედრო ტექნიკისა და ტექნიკურ შესაძლებლობათა გამოფენა სახელწოდებით „არმია-2024“. როგორც ევროპელი მიმომხილველები აღნიშნავენ, ის რაც გამოფენაზე იყო წარმოდგენილი, შესამჩნევად განსხვავდებოდა იმისაგან, რასაც მოსკოვში სამხედრო აღლუმებზე ვხვდავთ. კერძოდ: ტანკები, ჯავშანტრანსპორტიორები (БТР), ქვეითთა საბრძოლო მანქანები (БМП), დესანტის სამხედრო მანქანები (БМД), რომლებსაც ყოველთვის გამოარჩევდა დაბალი და აეროდინამიური ფორმები, მონსტრებად ქცეულიყვნენ<sup>3</sup> (შეადარეთ სურათები ქვემოთ, სადაც წარმოდგენილია მოსკოვში აღლუმზე ნაჩვენები T-90 და მისი საგამოფენო ვარიანტი, რომელიც რუსული არმიის მიერ სპეციალურ სამხედრო ოპერაციაში გამოიყენება).



სურათი 1. T-90 აღლუმზე

<sup>3</sup> ელ.ჟურნალი “ევროპული სამხედრო მიმომხილვა”, (EDR)  
<https://www.edrmagazine.eu/the-war-in-ukraine-has-changed-the-face-of-russian-armoured-vehicles>



სურათი 2. T-90 გამოფენაზე

რითია გამოწვეული ეს, თითქოსდა არარაციონალური, „მოდერნიზაცია“? ავტორის აზრით, აღნიშნული არასტანდარტული გადაწყვეტილებების მიზეზია განადგურების ახალი საშუალებები, რომლებითაც გაჯერებულია უკრაინაში ბრძოლის ველის საჰაერო სივრცე (იგულისხმება სხვადასხვა მოდიფიკაციის დრონები) და რომელთაც შეუძლიათ არა მარტო შეაჩერონ, არამედ ადგილზევე გაანადგურონ ნებისმიერი ჯავშანტექნიკა. თუმცა, განადგურების ახალ საშუალებათა აღწერა-დახასიათება კიდევ ერთი თემაა, რომელიც ცალკე განხილვას იმსახურებს და ოდნავ ქვემოთ შევხებით.

**დანიელ მორანის** მიხედვით,<sup>4</sup> მეოცე სუკუნის დასაწყისისთვის, ევროპული (და ზოგადად დასავლური) არმიები მივიდნენ ბრძოლის აგების გააზრების **ერთიან ხედვამდე**, რაც მეორე მსოფლიო ომამდე შეინარჩუნეს. ბრძოლის ველზე ყველა მათგანი ერთიანი მოდელით მოქმედებდა: სუსტი ძალების წინააღმდეგ ძლიერი ძალების თავმოყრა რელიეფის (ტერიტორიის) უპირატესობების გამოყენების ხარჯზე, ანდა იმ ადგილებში დარტყმის მიყენება, სადაც მოწინააღმდეგე სისუსტეს ამჟღავნებდა, ანდა იმ დროს, როდესაც ის მოსაგერიებლად მზად არ იყო. ფაქტია, ამ ზოგად ხედვაზე დაყრდნობით ყალიბდებოდა სამხედრო ოპერაციების ჩანაფიქრის ფორმულირება, დაგეგმვა და მართვა. მეტიც, აღნიშნული გახდა საფუძველი ე.წ. ომის პრინციპების იმ სახით პოსტულირებისა, რომელიც დღეს გვაქვს.

<sup>4</sup> Daniel Moran. *Strategic Theory and the History of War*. In *Strategy in the Contemporary World* (edited by Jon Baylis, James Wirts, Eliot Cohen, Colin S. Gray). Oxford University Press Inc., NY, 2002, pp.17-44

ყველაფერი ეს ბუნებრივი ჩანდა, ვინაიდან ამოქმედებული არმიების ყველაზე ძლიერ მხარეს ყოველთვის ფრონტი წარმოადგენდა, თუმცა მისი, ასე ვთვათ, ამოძრავება, ქმნიდა ე.წ. სისუსტეების გაჩენის წინაპირობებს: წინ წასული ფრონტისთვის ეს საკომუნიკაციო, მიწოდებისა და საევაკუაციო ხაზების „დაგრძელებას“ იწვევდა და აქედან გამომდინარე, ამ ხაზებზე კონტრშეტევის წინაპირობებს ქმნიდა, ხოლო უკან დახევა თავდაპირველ წინასწორობას არღვევდა და მოწინააღმდეგე შეტევის სიღმეში გადატანის შესაძლებლობებს უქმნიდა.

მეორე მსოფლიო ომმა, ომის სივრცეზე ახალი შეიარაღების ახლებურად გამოყენების წყალობით, მეტი მრავალფეროვნება შეიტანა მოცემული სქემის გააზრებაში და ოპერაციის დაგეგმვა და მართვა სტრატეგიის ცალკე დარგად ჩამოყალიბდა. ომის სივრცეზე, გარკვეული პერიოდით, ბატონდება ე.წ. „ბლიცკრიგი,“ როგორც ჯავშან-სატანკო მანევრირების ეფექტური სტრატეგია.


ზოგადად, ყოველი შემდეგი ომი თავადაც ხელს უწყობს ახალი საბრძოლო საშუალებების გამოჩენას და შესაბამისად, ახალი საბრძოლო სივრცეების გაჩენას. სწორედ აღნიშნული განსაზღვრავს ომის მსვლელობისადმი მიდგომის, ანუ ომის ხელოვნებისადმი მიდგომის, იმ დროსათვის არსებული მოდელების გადააზრებას და მისი მართვის ახალი ფორმების დამკვიდრებას. ვინც უფრო ადრე ახერხებს ამას, უშუალოდ ომის მსვლელობისას, საბოლოო ანგარიშით, ბრძოლის ველზე წარმატების მიღწევის უფრო მაღალი ალბათობა გააჩნია.

ისევ ე.წ. სპეციალური სამხედრო ოპერაციის სივრცეს რომ დავუბრუნდეთ უკრაინაში, აღმოვაჩინოთ, რომ ამგვარი სიახლე სწორედ ზემოთ ნახსენები განადგურების ახალი საშუალებებია, რომელთაც თავისი სპეციფიურობის გამო, არა მარტო ჯავშან-ტექნიკას შეუცვალეს იერსახე, არამედ მთლიანად შეცვალეს ბრძოლის ველზე მოქმედების მოდელები და ეს ეხება ჯარის არსებული სახეობების გამოყენების მთელ სპექტრს. „სხვანაირად“ მოქმედებენ ქვეითები, არტილერია, ჯავშან-სატანკო შენაერთები, ფრონტის ავიაცია.

სტატიაში „*21-ე სუკუნის ომების თავისებურება და საბრძოლო სივრცის სპეციფიკა*“, ჩვენ ვწერდით,<sup>5</sup> რომ თანამედროვე ბრძოლის ველი კოსმოსის, საჰაერო სივრცის და დედმიწის ზედაპირის ერთიან, ინტეგრირებულ გარემოს წარმოადგენს, რაც ბრძოლის წარმოებისათვის მრავალსივრცულ გარემოს ქმნის. ამის პოსტულირებისას ჩვენ ვეყრდნობოდით გენერალ დევიდ პერკინსის 2017 წელს „სამხედრო მიმოხილვაში“ გამოქვეყნებულ წერილს „*მრავალ-სივრცული ბრძოლა*.“<sup>6</sup> ჩვენს სტატიაში საილუსტრაციოდ გამოვიყენეთ თანამედროვე საბრძოლო სივრცის სქემა (სურათი 3), რომელიც საკმაოდ კარგად ასახავდა გენერალ პერკინსის მიდგომას.

<sup>5</sup> დავით თევზაძე, *21-ე სუკუნის ომების თავისებურება და საბრძოლო სივრცის სპეციფიკა*. სამეცნიერო შრომების კრებული საქართველოს ტერიტორიის სამხედრო-საიმპინრო უზრუნველყოფის შესაძლებლობათა ამაღლება ოპერატიული სივრცის სპეციფიკის გათვალისწინებით. გვ. 2-12. სტუ-ს გამომცემლობა, თბილისი, 2023

<sup>6</sup> Gen. David G. Perkins, *Multi-Domain Battle*, *MILITARY REVIEW*, July-August 2017



სურათი 3. მრავალ-სივრცული საბრძოლო სივრცის სქემა

თუმცა, უნდა აღვნიშნოთ, რომ 2017 წელთან შედარებით, უკრაინაში მიმდინარე საბრძოლო მოქმედებებმა ამ მრავალსივრცულ გარემოს კიდევ ერთი სივრცე შემატა: საჰაერო სივრცედ (ანუ, ავიაციის საბრძოლო სივრცედ) მიჩნეულ სივრცესა და დედამიწის ზედაპირს შორის სივრცე, სადაც ადრე არანაირი საბრძოლო აქტიურობა არ იკვეთებოდა, ამჟამად კი აღნიშნული სივრცე ე.წ. **დრონების საბრძოლო დანიშნულებით გამოყენების არედაა გადაქცეული**. სხვა სიტყვებით, საჰაერო სივრცეში ახალი პლასტი გამოიკვეთა, რომელიც აქამდე საბრძოლო გამოყენების თვალსაზრისით ან საერთოდ იყო უგულვებელყოფილი, ან ნაკლებად იყო დატვირთული. შესაბამისად, საჰაერო დაცვის ტრადიციული საშუალებები ამ ახალ განზომილებაში სამუშაოდ არაეფექტური გამოდგა.

რას ცვლის ზემოთ ნახსენები გარემოება სამხედრო მოქმედებების თვალსაზრისით, თუ კი დანიელ მორანის სქემას გავიხსენებთ: სუტი ძალების წინააღმდეგ ძლიერი ძალების თავმოყრა რელიეფის (ტერიტორიის) უპირატესობების გამოყენების ხარჯზე, ანდა იმ ადგილებში დარტყმის მიყენებით, სადაც მოწინააღმდეგე სისუსტეს ამჟღავნებდა, ანდა იმ დროს, როდესაც ის მოსაგერიებლად მზად არ იყო.<sup>7</sup>

**პირველი:** მოულოდნელობის ეფექტის შესაქმნელად, პრაქტიკულად, შეუძლებელი ხდება სადმე მეტ-ნაკლებად დიდი ძალების თავმოყრა, ანუ რელიეფის უპირატესობის გამოყენება, ვინაიდან ამ ძალების „დამალვა“ ხდება შეუძლებელი.<sup>8</sup>

**მეორე:** თავად რელიეფის უპირატესობა პირობითობადაა ქცეული, ვინაიდან ნებისმიერი რელიეფი წვდომადია.

<sup>7</sup> Daniel Moran. *Strategic Theory and the History of War*. In *Strategy in the Contemporary World* (edited by Jon Baylis, James Wirts, Eliot Cohen, Colin S. Gray). Oxford University Press Inc., NY, 2002, pp.17-44

<sup>8</sup> გარკვეულ წილად, აქ ერთგვარ გამონაკლისად ჩანს ა.წ. 12 აგვისტოს უკრაინის სამხედრო ძალების მიერ განხორციელებული შეჭრა კურსკის ოლქში, რაც რუსული სამხედრო მანქანისათვის სრული მოულოდნელობა აღმოჩნდა.

**მესამე:** როგორც ჩანს, გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს როგორც საკუთარი საკომუნიკაციო ხაზების კონტროლის განხორციელების შესაძლებლობა, ასევე მოწინააღმდეგის ხაზებზე მუდმივი საცეცხლე ზემოქმედების უზრუნველყოფა. შეიძლება ითქვას, რომ ტაქტიკურ სივრცეზე ტერიტორიის დაკავების მოდელს საკომუნიკაციო ხაზებზე განხორციელებული კონტროლის მოდელი ენაცვლება.

თუმცა მხოლოდ ეს რომ იყოს, ბრძოლის მსვლელობის გააზრებაში დრამატულად არც არაფერი შეიცვლებოდა. აქ კი უნდა დავუბრუნდეთ ახალ საბრძოლო სივრცეში (საჰაერო სივრცედ მიჩნეულ სივრცესა და დედამიწის ზედაპირს შორისი სივრცე) ახალი საბრძოლო საშუალებების (ე.წ. დრონები) გამოყენებას. სხვა სიტყვებით, უნდა გავერკვეთ ორ საკითხში:

ა) რა იარაღთან გვაქვს საქმე?

ბ) რა გავლენა აქვს ამ იარაღის გამოყენებას სამხედრო სტრუქტურაზე?

ა) ზოგადად, ის რასაც ჩვენ დრონებს ვუწოდებთ, წარმოადგენს უპილოტო საფრენი აპარატების გარკვეულ კლასს, რომელიც ფრონტზე თავიდან როგორც ეფექტური დაზვერვის საშუალება გამოჩნდა. თუმცა, უკრაინაში მიმდინარე კონფლიქტისას, მან სწრაფად განიცადა ევოლუცია და მალევე განადგურების საკმაოდ ეფექტურ საშუალებად გარდაიქმნა (ე.წ. კამიკაძე დრონები). მაგრამ ევოლუცია ამაზე არ შეჩერებულა და დღეს უპილოტო საფრენი აპარატები უკვე რამოდენიმე ფუნქციას ითავსებენ, რაც მათი კლასიფიკაციის<sup>9</sup> საშუალებას იძლევა:

- სადაზვერვო,
- კამიკაძე,
- ბომბდამშენი,
- საინჟინრო,
- გადამჭერი.

**სადაზვერვო დრონები** სადღეღამისო რეჟიმში აწარმოებენ მოწინააღმდეგის დაკვირვებას, რაც განსაკუთრებით ეფექტურია კოტრსაბატარეო ცეცხლისთვის სამიზნეთა განსაზღვრისათვის.

**კამიკაძე დრონები**, გარკვეული აზრით, ზუსტი საარტილერიო ცეცხლის ალტერნატივაა.

**ბომბდამშენი დრონები** (მაგალითად, უკრაინული „ბაბა იაგა“ (სურათი 4) ყრიან ასაფეთქებლებსა და ხელყუმბარებს მოწინააღმდეგის პოზიციებზე და ასევე „ნადირობენ“ ცალკეულ ჯარისკაცებზეც. კამიკაძე დრონებისაგან მათ განასხვავებს ის, რომ მას მერე, რაც ტვირთისგან განთავისუფლდებიან, ისინი ოპერატორთან ბრუნდებიან.

<sup>9</sup> <https://topwar.ru/250624-besipilotniki-nachali-razdeljatsja-na-klassy-v-zapadnoj-presse-analizirujut-pojavlenie-bpla-perehvatchikov.html>



სურათი 4. უკრაინული „ბაბა იაგა“

საინჟინრო დრონები გამოიყენება გზებისა და ტერიტორიის დანადგვისათვის. გადამჭერი დრონები, ანუ დრონებზე და სხვა საფრენ აპარატებზე მონადირე დრონები, ახდენენ მოწინააღმდეგე დრონის იდენტიფიცირებას და მის განადგურებას. როგორც სამხედრო სპეციალისტები მიიჩნევენ, დრონების ევოლუცია, გარკვეული აზრით, იმეორებს პირველ მსოფლიო ომში ავიაციის მიერ განვლილ გზას, როდესაც ჰაერში ერთმანეთის მიყოლებით გამოჩნდნენ გადამჭერ-გამანადგურებლები, ბომბდამშენები და მზვერველები.<sup>10</sup>

ბ) ახლა გავერკვეთ, რა გავლენა შეიძლება იქონიოს ყველაფერმა ამან ქვეყნის სამხედრო მოწყობის სტრუქტურირებაზე.

ცნობილია, რომ ნებისმიერი ახალი იარაღი ჯარისკაცისგან მოითხოვს არა მარტო ახალი უნარების ათვისებას, არამედ ახალ სამხედრო სპეციალიზაციასაც, რაც, თავის მხრივ, ტრადიციულ სამხედრო გვარეობების გვერდით, ახალი ტიპის სამხედრო შენაერთების გამოჩენის საფუძველი ხდება, ხოლო ეს უკანასკნელი თანდათან ჯარების ახალ გვარეობად ყალიბდება.

ამ მხრივ, არც უპილოტო მოწყობილობები უნდა იყოს გამონაკლისი. ვნახოთ, არსებობს თუ არა ასეთი პერსპექტივა? საინტერესოა, რომ მიმდინარე წელს, აშშ არმიაში, საჰაეროსადესანტო ჯარებში, ექსპერიმენტის სახით შეიქმნა უპილოტო საფრენი სისტემების სამი ოცეული. კონკრეტულად, 101-ე საჰაერო-სადესანტო დივიზიაში ჩამოყალიბდა 21 კაციანი დანაყოფი, რომლის დანიშნულებაც ცეცხლის კოორდინაცია, ტექნიკის გადაადგილებისა და წინა პერიმეტრის დაზვერვა და ბარაჟირებადი საბრძოლო მასალით დარყმის მიყენება.<sup>11</sup>

<sup>10</sup> <https://topwar.ru/250624-bespiotniki-nachali-razdeljatsja-na-klassy-v-zapadnoj-presse-analizirujut-pojavlenie-bpla-perehvatchikov.html>

<sup>11</sup> <https://topwar.ru/250649-armija-ssha-perehodit-na-ukrainskij-stil-struktura-vzvoda-bespiotnyh-sistem-v-amerikanskih-vojskah.html>



გაჩერდება ყველაფერი ამაზე? არა გვგონია. და ამის მიზეზიც არსებობს: ჯერ ერთი, უპილოტო, ანუ ოპერატორის მიერ მანძილიდან მართვადი აპარატები, არა მარტო საკაერო მოხმარებისთვისაა განკუთვნილი. უკრაინაში დაპირისპირების დაწყებიდან დღემდე ე.წ. **საზღვაო კამიკაძე დრონები** საკმაოდ ეფექტურად გამოიყენება უკრაინული მხარის მიერ შავ ზღვაზე (სურათი 5).



სურათი 5. საზღვაო დრონი კამიკაძე

გარდა ამისა, უკვე არსებობს მათი სახმელეთო მოხმარების ანალოგები, რომლებიც ასევე, რამოდენიმეჯერ გამოიცადა „სპეცოპერაციის“ მსვლელობისას (სურათები 6 და 7).



სურათი 6. რუსული სახმელეთო უპილოტო რობოტიზირებული აპარატები



სურათი 7. სადაზვერვო ფუნქციის მქონე უკრაინული რობოტი „ძაღლი“ BAD 2 Dog<sup>12</sup>

სპეციალისტებმა (მაგალითად, ა.მიტროფანოვი) უკვე დაიწყეს საუბარი ე.წ. უპილოტო რობოტიზირებული აპარატების ჯარების შესაძლო შექმნაზე.<sup>13</sup>

### დასკვნა

ასეა თუ ისე, რუსეთის ე.წ. სპეციალური სამხედრო ოპერაცია ჯერ არ დასრულებულა და ჩვენ არ ვიცით, რა მიმართულებით წავა უპილოტო სისტემების ევოლუცია. რა საბოლოო სახეს მიიღებს მათი გამოყენება ჰაერში, ხმელეთზე ან ზღვაზე. თუმცა მათთვის ვინც გარედან აკვირდება კონფლიქტს, მთელი იმ ბურუსის მიუხედავად, რომელიც ამ „ოპერაციის“ ბუნებრივი თანმდევა, ერთი რამ ცხადია:

*მომავალი ომები, სავარაუდოდ, უპილოტო სისტემების დომინირების სივრცე იქნება. შესაბამისად, ომისათვის სამზადისი სამხედრო ძალების უპილოტო სისტემების გამოყენების დახელოვნებასაც უნდა გულისხმობდეს. ეს კი შეუძლებელი იქნება შესაბამისი მატერიალური და საწარმოო ბაზის, დოქტრინისა და ორგანიზაციული ჩარჩოს გარეშე.*

### ბიბლიოგრაფია

თევზაძე დავით, 21-ე სუკუნის ომების თავისებურება და საბრძოლო სივრცის სპეციფიკა. სამეცნიერო შრომების კრებული საქართველოს ტერიტორიის სამხედრო-საიმჟინრო უზრუნველყოფის შესაძლებლობათა ამაღლება ოპერატიული სივრცის სპეციფიკის გათვალისწინებით. გვ. 2-12. სტუ-ს გამომცემლობა, თბილისი, 2023.

<sup>12</sup> <https://topwar.ru/250293-vs-pokazali-sobak-robotov-bad-2-dog.html>

<sup>13</sup> <https://topwar.ru/250644-vojska-bespiotnyh-sistem-vbps-vzgljad-v-budushee-vooruzhennyh-sil-rossijskoj-federacii.html?1727180212035>

Daniel Moran. Strategic Theory and the History of War. In *Strategy in the Contemporary World* (edited by Jon Baylis, James Wirts, Eliot Cohen, Colin S. Gray). Oxford University Press Inc., NY, 2002, pp.17-44.

ელ.ჟურნალი “ევროპული სამხედრო მიმოხილვა”, (EDR),  
<https://www.edrmagazine.eu/the-war-in-ukraine-has-changed-the-face-of-russian-armoured-vehicles>.

ელ.ჟურნალი “სამხედრო მიმოხილვა”,  
<https://topwar.ru/250624-bespilotniki-nachali-razdeljatsja-na-klassy-v-zapadnoj-presse-analizirujut-pojavlenie-bpla-perehvatchikov.html>.

ელ.ჟურნალი “სამხედრო მიმოხილვა”,  
<https://topwar.ru/250649-armija-ssha-perehodit-na-ukrainskij-stil-struktura-vzvoda-bespilotnyh-sistem-v-amerikanskih-vojskah.html>.

ელ.ჟურნალი “სამხედრო მიმოხილვა”,  
<https://topwar.ru/250293-vsu-pokazali-sobak-robotov-bad-2-dog.html>.

Андрей Митрофанов. Войска беспилотных систем – ВБПС: взгляд в будущее Вооружённых Сил Российской Федерации.

<https://topwar.ru/250644-vojska-bespilotnyh-sistem-vbps-vzgljad-v-budushee-vooruzhennyh-sil-rossijskoj-federacii.html?1727180212035>.